პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

სამშაბათი, 23 თებერვალი, 1943 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო | № 5 (261). ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა

1943 წ. 23 თებერვალი — № 95 — ქ. მოსკოვი

ამხანაგო წითელარმიელებო და წითელფლოტელებო, მეთაურებო და პოლიტმუშაკებო, პარტიზანო კაცებო და ქალებო! დღეს ჩვენ ვდღესასწაულობთ წითელი არმიის არსებობის 25-ე წლისთავს.

მეოთხედმა საუკუნემ განვლო მას შემდეგ, რაც შეიქმნა წითელი არმია. იგი შეიქმნა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელნიც ცდილობდნენ დაემონებინათ ჩვენი ქვეყანა. 1918 წლის 23 თებერვალი, როდესაც წითელი არმიის რაზმებმა პსკოვთან და ნარვასთან სასტიკად დაამარცხეს გერმანელ დამპყრობთა ჯარები—გამოცხადებულ იქნა წითელი არმიის დაბადების დღედ.

1918-1921 წლებში უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ შეუპოვარ ბრძოლაში წითელმა არმიამ დაიცვა ჩვენი საბჭოთა სამშობლოს ღირსება, თავისუფლება და დამოუკიდებლობა, დაიცვა ჩვენი ქვეყნის ხალხთა უფლება ეშენებინათ თავიანთი ცხოვრება ისე, როგორც გვასწავლიდა დიდი ლენინი.

ორი ათეული წლის განმავლობაში წითელი არმია იცავდა საბჭოთა ხალხის მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას. ჩვენი ქვეყნის ხალხები არასოდეს არ ივიწყებდნენ უცხოელ დამპყრობთაგან ჩვენი მიწა-წყლის ხელყოფას და დაუცხრომლად ზრუნავდნენ წითელი არმიის ძლიერების განმტკიცებისათვის, პირველხარისხოვანი საბრძოლო ტექნიკით აიარაღებდნენ მას და სიყვარულით ზრდიდნენ საბჭოთა მეომრების კადრებს.

წითელი არმია არის ყველა ქვეყნის ხალხთა შორის მშვიდობიანობისა და მეგობრობის დაცვის არმია. იგი შექმნილია არა უცხო ქვეყნების დასაპყრობად, არამედ საბჭოთა ქვეყნის საზღვრების დასაცავად. წითელი არმია ყოველთვის პატივისცემით ეპყრობოდა ყველა ხალხთა უფლებებსა და დამოუკიდებლობას.

მაგრამ 1941 წლის ივნისში ჰიტლერული გერმანია ვერაგულად დაესხა თავს ჩვენს ქვეყანას, უხეშად და საზიზღრად დაარღვია რა ხელშეკრულება თავდაუსხმელობის შესახებ. და წითელი არმია იძულებული აღმოჩნდა გაელაშქრნა, რათა დაეცვა თავისი სამშობლო გერმანელ დამპყრობთაგან და განედევნა ისინი ჩვენი ქვეყნის საზღვრებიდან. ამ დროიდან წითელი არმია გადაიქცა ჰიტლერელთა ჯარების წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის არმიად, იმ ძალადობისა და დამცირებისათვის შურისმგებელთა არმიად, რომელსაც გერმანელი ფაშისტი არამზადები აყენებენ ჩვენს ძმებსა და დებს ჩვენი სამშობლოს ოკუპირებულ რაიონებში.

თავისი არსებობის 25-ე წლისთავს წითელი არმია ეგებება ჰიტლერული გერმანიისა და მის მსახურთა—იტალიელების, უნგრელების, რუმინელების, ფინელების წინააღმდეგ სამამულო ომის გადამწყვეტ მომენტში.

20 თვე გავიდა, რაც წითელი არმია ისტორიაში უმაგალითო გმირულ ბრძოლას ეწევა გერმანელ ფაშისტთა ურდოების შემოსევის წინააღდეგ. ევროპაში მეორე ფრონტის არარსებობის გამო წითელ არმიას მარტოდმარტო გადააქვს ომის მთელი სიმძიმე. მიუხედავად ამისა, წითელმა არმიამ არა მარტო გაუძლო გერმანელ ფაშისტთა ურდოების მოძალებას, არამედ ომის მსვლელობაში რისხვადაც გადაიქცა ფაშისტური არმიებისათვის.

მძიმე ბრძოლებში 1942 წლის ზაფხულში და შემოდგომაზე წითელმა არმიამ გზა გადაუღობა ფაშისტ მხეცებს. ჩვენი ხალხი სამარადისოდ შეინახავს ხსოვნას სევასტოპოლისა და ოდესის გმირული დაცვის შესახებ, მოსკოვთან და კავკასიის მთის ძირებში, რუევის რაიონში და ლენინგრადთან შეუპოვარი ბრძოლების შესახებ, ომების ისტორიაში უდიდესი ბრძოლის შესახებ სტალინგრადის კედლებთან. ამ დიდ ბრძოლებში ჩვენმა მამაცმა მებრძოლებმა, მეთაურებმა და პოლიტმუშაკებმა უჭკნობი სახელი მოუხვეჭეს წითელი არმიის საბრძოლო დროშებს და მკვიდრი საფუძველი ჩაუყარეს გერმანელ ფაშისტთა არმიებზე გამარჯვებას.

სამი თვის წინათ წითელი არმიის ჯარებმა შეტევა დაიწყეს სტალინგრადის მისადგომებზე. მას შემდეგ საომარი მოქმედების ინიციატივა ჩვენს ხელშია, ხოლო წითელი არმიის შეტევითი ოპერაციების ტემპები და დარტყმითი ძალა არ სუსტდება. ამჟამად წითელი არმია ზამთრის მძიმე პირობებში უტევს 1.500 კილომეტრ ფრონტზე და თითქმის ყველგან წარმატებებს აღწევს. ჩრდილოეთში, ლენინგრადთან, ცენტრალურ ფრონტზე, ხარკოვის მისადგომებზე, დონბასში, როსტოვთან, აზოვისა და შავი ზღვის სანაპიროზე წითელი არმია ზედიზედ აგემებს დარტყმებს ჰიტლერელთა ჯარებს. სამი თვის განმავლობაში წითელმა არმიამ მტრისაგან გაათავისუფლა ვორონეჟისა და სტალინგრადის ოლქების, ჩაჩნეთ-ინგუშეთის, ჩრდილოეთ ოსეთის, ყაბარდო-ბალკარეთისა და ყალმუხთა ავტონომიური რესპუბლიკების, სტავროპოლისა და კრასნოდარის მხარეების, ჩერქეზეთის, ყარაჩაისა და ადიღეს ავტონომიური ოლქების ტერიტორია, თითქმის მთელი როსტოვის, ხარკოვისა და კურსკის ოლქები.

დაიწყო მტრის მასობრივი განდევნა საბჭოთა ქვეყნიდან.

რა შეიცვალა ამ სამი თვის განმავლობაში? საიდან არის გერმანელთა ასეთი სერიოზული წარუმატებლობანი? სად არის ამ წარუმატებლობათა მიზეზები?

შეიცვალა ძალთა შეფარდება საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე. საქმე იმაშია, რომ ფაშისტური გერმანია სულ უფრო და უფრო იფიტება და უფრო სუსტი ხდება, საბჭოთა კავშირი კი ეწევა თავისი რეზერვების სულ უფრო და უფრო გაშლას და უფრო ძლიერი ხდება. დრო ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ მუშაობს.

ჰიტლერულ გერმანიას, რომელმაც აიძულა ევროპის სამხედრო მრეწველობა მისთვის ემუშავნა, უკანასკნელ დრომდე უპირატესობა ჰქონდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ტექნიკის მხრივ და უწინარეს ყოვლისა ტანკებისა და თვითმფრინავების მხრივ. ამაში იყო მისი უპირატესობა. მაგრამ ომის 20 თვის განმავლობაში მდგომარეობა შეიცვალა. სსრ კავშირის სამხედრო მრეწველობის მუშების, მუშა ქალების, ინჟინრებისა და ტექნიკოსების თავდადებული შრომის მეოხებით, ომის განმავლობაში გაიზარდა ტანკების, თვითმფრინავების, ქვემეხების წარმოება. ამავე ხნის განმავლობაში მტერს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე უდიდესი ზარალი მოუვიდა საბრძოლო ტექნიკის, განსაკუთრებით ტანკების, თვითმფრინავებისა და ქვემეხების მხრივ. 1942-1943 წლის ზამთარში წითელი არმიის შეტევის მარტო სამი თვის განმავლობაში გერმანელებმა დაჰკარგეს 7.000-ზე მეტი ტანკი, 4.000-ზე მეტი თვითმფრინავი, 17.000-ზე მეტი ქვემეხი და ბევრი სხვა საჭურველი.

რასაკვირველია, გერმანელები შეეცდებიან დაჰფარონ ეს დანაკლისი, მაგრამ ამის გაკეთება არც ისე ადვილი იქნება, ვინაიდან ცოტა დრო როდი დასჭირდება იმას, რომ მტერმა მოახერხოს ტექნიკის მხრივ ამ უდიდესი დანაკლისის შევსება. დრო კი არ იცდის.

ჰიტლერულმა გერმანიამ სსრ კავშირის წინააღმდეგ ომი დაიწყო ისე, რომ რიცხვობრივად ჭარბი უკვე მობილიზებული და ბრძოლისათვის მზადმყოფი ჯარები ჰყავდა წითელ არმიასთან შედარებით. ამაში იყო მისი უპირატესობა. მაგრამ 20 თვის განმავლობაში მდგომარეობა ამ დარგშიც შეიცვალა. თავდაცვითსა და შეტევითს ბრძოლებში წითელმა არმიამ ომის განმავლობაში მწყობრიდან გამოიყვანა 9 მილიონამდე გერმანელი ფაშისტი ჯარისკაცი და ოფიცერი, მათგან—სულ მცირე 4 მილიონი ბრძოლის ველზე მოკლულთა სახით. სავსებით განადგურებული არიან რუმინეთის, იტალიისა და უნგრეთის არმიები, რომლებიც ჰიტლერმა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტს მოაყარა. მარტო უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში წითელი არმიის მიერ დამარცხებულია მტრის 112 დივიზია, ამასთან მოკლულია 700.000-ზე მეტი და ტყვედ წამოყვანილია 300 ათასზე მეტი კაცი.

რასაკვირველია, გერმანელთა სარდლობა ყველა ზომას მიიღებს, რომ დაჰფაროს ეს კოლოსალური დანაკლისი. მაგრამ, ჯერ-ერთი, გერმანელთა არმიების სუსტ ადგილს წარმოადგენს ადამიანთა რეზერვების ნაკლებობა, რის გამოც გამოურკვეველია, რა წყაროებიდან იქნება დაფარული ეს დანაკლისი. მეორეც, კიდეც რომ დავუშვათ, რომ გერმანელები ყოველნაირი ღონისძიებებით მოხვეტენ ადამიანთა საჭირო რაოდენობას, ცოტა დრო როდი იქნება საჭირო იმისათვის, რომ შეაგროვონ და გაწვრთვნან ისინი. დრო კი არ იცდის.

ჰიტლერული არმია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში ჩაება ისე, რომ თითქმის ორი წლის გამოცდილება ჰქონდა დიდი საომარი ოპერაციების წარმოებისა ევროპაში ომის უახლეს საშუალებათა გამოყენებით, წითელ არმიას ომის პირველ პერიოდში, ბუნებრივია, ჯერ კიდევ არ ჰქონდა და არც შეიძლებოდა ჰქონოდა ასეთი საომარი გამოცდილება. ამაში მდგომარეობდა გერმანელ ფაშისტთა არმიის უპირატესობა. მაგრამ 20 თვის განმავლობაში მდგომარეობა ამ დარგშიც შეიცვალა. ომის მსვლელობაში წითელი არმია კადრის არმია გახდა. მან ისწავლა მტრის წინააღმდეგ აუცდენლად დარტყმა მისი სუსტი და ძლიერი მხარეების გათვალისწინებით, როგორც ამას მოითხოვს თანამედროვე სამხედრო მეცნიერება. წითელი არმიის ასიათასობით და მილიონობით მებრძოლი გახდა ოსტატი თავისი იარაღისა,—შაშხანის, ხმლის, ტყვიამფრქვევის, არტილერიის, სანაღმმტყორცნო საქმის, სატანკო საქმის, სასანგრო საქმის, ავიაციის. წითელი არმიის ათიათასობით მეთაური ჯარების გაძღოლის ოსტატი გახდა. მათ ისწავლეს პირადი მამაცობისა და გულადობის შეხამება ბრძოლის ველზე ჯარების ხელმძღვანელობის ცოდნასთან, ხელი აიღეს რა სულელურ და მავნე სახაზო ტაქტიკაზე და მტკიცედ დადგნენ რა მანევრირების ტაქტიკის ნიადაგზე.

არ შეიძლება შემთხვევითობად ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ წითელი არმიის სარდლობა არა მარტო ათავისუფლებს მტრისაგან საბჭოთა მიწა-წყალს, არამედ მტერს ცოცხალსაც არ უშვებს ჩვენი მიწა-წყლიდან, ანხორციელებს რა მტრის არმიების გარშემორტყმისა და ლიკვიდაციის ისეთ სერიოზულ ოპერაციებს, რომლებიც შეიძლება სამხედრო ხელოვნების ნიმუშად გამოდგეს. ეს, უეჭველია, ჩვენი მეთაურების სიმწიფის ნიშანია.

ეჭვი არ არის, რომ მხოლოდ წითელი არმიის სარდლობის სწორ სტრატეგიას და ჩვენი მეთაურ-შემსრულებლების მოქნილ ტაქტიკას შეეძლო გამოეწვია ისეთი შესანიშნავი ფაქტი, როგორიც არის გარშემორტყმა და ლიკვიდაცია სტალინგრადთან გერმანელთა უდიდესი რჩეული არმიისა 330.000 კაცის შემადგენლობით.

ამ მხრივ გერმანელებს სრულიადაც არა აქვთ რიგზე ყველაფერი. მათი სტრატეგია დეფექტიანია, ვინაიდან იგი, როგორც წესი, ჯეროვნად არ აფასებს მოწინააღმდეგის ძალებსა და შესაძლებლობებს და ზედმეტად აფასებს თავის საკუთარ ძალებს. მათი ტაქტიკა შაბლონურია, ვინაიდან იგი ცდილობს ფრონტის ამბები წესდების ამა თუ იმ პარაგრაფს მიუყენოს. გერმანელები აკურატულნი და ზუსტნი არიან თავიანთ მოქმედებაში, როდესაც ვითარება საშუალებას იძლევა განახორციელონ წესდების მოთხოვნები. ამაში მათი ძალა. გერმანელები უმწეონი ხდებიან, როდესაც ვითარება რთულდება, „აღარ შეესაბამება“ წესდების ამა თუ იმ პარაგრაფს და მოითხოვს წესდებით გაუთვალისწინებელი დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღებას. ამაშია მათი ძირითადი სისუსტე.

ასეთია ის მიზეზები, რომლებმაც განსაზღვრეს გერმანიის ჯარების დამარცხება და წითელი არმიის წარმატებანი ამ უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში.

მაგრამ აქედან როდი გამომდინარეობს, რომ ჰიტლერელთა არმიას ბოლო მოელო და წითელ არმიას ისღა დარჩენია, რომ სდიოს მას ჩვენი ქვეყნის დასავლეთ საზღვრებამდე. ასე ფიქრი იმას ნიშნავს, რომ მივეცეთ უგუნურ და მავნე თავისმოტყუებას. ასე ფიქრი იმას ნიშნავს, რომ ზედმეტად შევაფასოთ ჩვენი ძალები, ჯეროვნად არ შევაფასოთ მოწინააღმდეგის ძალები და ავანტიურიზმში ჩავვარდეთ. მტერმა დამარცხება განიცადა, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ არის ძლიერი. გერმანელ ფაშისტთა არმია კრიზისს განიცდის წითელი არმიისაგან მიყენებული დარტყმების გამო, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ მას არ შეუძლია ღონე მოიკრიბოს. ბრძოლა გერმანელ დამპყრობლებთან ჯერ კიდევ არ დამთავრებულა,— იგი მხოლოდ ახლა ფართოვდება და ჩაღდება. სისულელე იქნებოდა გვეფიქრნა, რომ გერმანელები უბრძოლველად დასტოვებენ ჩვენი მიწა-წყლის თუნდაც ერთ კილომეტრს.

წითელ არმიას მოელის მკაცრი ბრძოლა ვერაგი, სასტიკი და ჯერ კიდევ ძლიერი მტრის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა მოითხოვს დროს, მსხვერპლს, ჩვენი ძალების დაძაბვას და მთელი ჩვენი შესაძლებლობების მობილიზებას. ჩვენ დავიწყეთ საბჭოთა უკრაინის განთავისუფლება გერმანელთა ჩაგვრისაგან, მაგრამ მილიონობით უკრაინელი ჯერ კიდევ იტანჯება გერმანელ დამმონებელთა უღელ ქვეშ. ბელორუსიაში, ლიტვაში, ლატვიაში, ესტონეთში, მოლდავეთში, ყირიმში, კარელიაში ჯერ კიდევ თარეშობენ გერმანელი ოკუპანტები და მათი მსახურნი. მტრის არმიებს მძლავრი დარტყმები ვაგემეთ, მაგრამ მტერი ჯერ კიდევ არ არის დამარცხებული. გერმანელი დამპყრობნი გააფთრებულ წინააღმდეგობას გვიწევენ, კონტრიერიშებზე გადმოდიან, ცდილობენ ფეხი მოიკიდონ თავდაცვითს ზღუდეებზე და შეუძლიათ ახალი ავანტიურები ჩაიდინონ. აი რატომ არ უნდა ჰქონდეს ადგილი ჩვენს რიგებში უზრუნველობას, უდარდელობას, ყოყოჩობას.

მთელ საბჭოთა ხალხს ახარებს წითელი არმიის გამარჯვებანი. მაგრამ წითელი არმიის მებრძოლებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს მტკიცედ უნდა ახსოვდეთ ჩვენი მასწავლებლის ლენინის ანდერძი: „პირველი საქმეა არ გაგვიტაცოს გამარჯვებამ და არ ვიყოყოჩოთ, მეორე საქმეა განვიმტკიცოთ გამარჯვება, მესამე—საბოლოოდ მოვსპოთ მოწინააღმდეგე“.

საძულველი მტრისაგან ჩვენი სამშობლოს განთავისუფლებისათვის, გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე საბოლოო გამარჯვებისათვის,

— **ვბრძანებ:**

1. დაუღალავად სრულჰყოთ საბრძოლო წრთვნა და განამტკიცოთ დისციპლინა, წესრიგი და ორგანიზებულობა მთელ წითელ არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტში.

2. გააძლიეროთ დარტყმები მტრის ჯარების წინააღმდეგ, დაუღალავად და შეუპოვრად სდევნოთ მტერი, არ მისცეთ მას საშუალება ფეხი მოიკიდოს თავდაცვითს ზღუდეებზე, არ მისცეთ მას მოსვენება არც დღისით, არც ღამით, გადასჭრათ მტრის კომუნიკაციები, გარს შემოერტყათ მტრის ჯარებს და მოსპოთ ისინი, თუ იარაღის დაყრაზე უარს ამბობენ.

3. უფრო ფართოდ გააჩაღოთ პარტიზანული ბრძოლის ცეცხლი მტრის ზურგში, ანგრიოთ მტრის კომუნიკაციები, აფეთქოთ რკინიგზის ხიდები, ჩაშალოთ მტრის ჯარების გადმოყვანა, იარაღისა და საომარი მასალების მოტანა, აფეთქოთ და ცეცხლი წაუკიდოთ სამხედრო საწყობებს, თავს დაესხათ მტრის გარნიზონებს, არ მისცეთ საშუალება უკანდახეულ მტერს დასწვას ჩვენი სოფლები და ქალაქები, მთელი ძალებით, მთელი საშუალებებით დაეხმაროთ შემტევ წითელ არმიას.

ამაშია ჩვენი გამარჯვების საწინდარი.

ამხანაგო წითელარმიელებო და წითელფლოტელებო, მეთაურებო და პოლიტმუშაკებო, პარტიზანო კაცებო და ქალებო!

საბჭოთა მთავრობისა და ჩვენი ბოლშევიკური პარტიის სახელით მოგესალმებით და მოგილოცავთ წითელი არმიის 25 წლისთავს!

გაუმარჯოს ჩვენს დიდ სამშობლოს!

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან წითელ არმიას, ჩვენს მამაც სამხედრო-საზღვაო ფლოტს, ჩვენს გულად პარტიზან კაცებს და ქალებს!

გაუმარჯოს ბოლშევიკების პარტიას, წითელი არმიის გამარჯვებათა სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი ი. სტალინი

ჩვენს წითელარმიას— დიდება

დღეს, 23 თებერვალს, ჩვენი სამშობლო — დიდი საბჭოთა კავშირი აღნიშნავს თავისი შეიარაღებული ძალების — მუშურ-გლეხური წითელი არმიის და წითელი სამხედრო-საზღვაო ფლოტის არსებობის 25 წლისთავს.

ეს თარიღი საბჭოთა ხალხის უაღრესად საამაყო და სახიხარულო დღესასწაულია.

საბჭოთა ხალხის სისხლი-სისხლთაგანი და ხორცი-ხორცთაგანი მუშურ-გლეხური წითელი არმია და წითელი სამხედრო-საზღვაო ფლოტი ანსახიერებენ ჩვენი ხალხის მაღალ იდეურ-მორალურ მიზნდასახულობას, მის შეუდრეკელ ნებისყოფას და ქედმოუხრელ ძლიერებას. მხოლოდ ხალხს რომელსაც ამოძრავებს და ასულდგმულებს უმაღლესი იდეალი—**ლენინ-სტალინის** დიად დროშაზე წარწერილი იდეალი, — თავისი სამშობლოს და მთელი მსოფლიოს ყველა ჩაგრული ხალხის სოციალური და ნაციონალური მონობის კირთებისაგან განთავისუფლების დიდი ისტორიული მისია, მხოლოდ ასეთ ხალხს შეეძლო შეექმნა და გამოეწრთო ხალხთა ძმობისა და მეგობრობის არმია, არმია რომელსაც ამაყად მიაქვს წინ თავისუფლების დროშა და რომელიც თავისი საარაკო ბრძოლებით აღაფრთოვანებს ფაშისტ მტარვალთა უღელქვეშ მგმინავ ერებს ჰიტლერული ტირანიის წინააღმდეგ საბრძოლველად.

25 წლის წინათ პსკოვთან და ნარვასთან გერმანელ ოკუპანტთა წინააღმდეგ გაჩაღებულ სასტიკ ბრძოლაში იშვა ჩვენი არმია. პსკოვთან და ნარვასთან **ლენინისა** და **სტალინის** გენიალური ხელმძღვანელობით მიიღო წითელმა არმიამ თავისი საბრძოლო ნათლობა, ხოლო დღეს მან 25 წლის თავისი არსებობა დაგვირგვინა უბრწყინვალესი გამარჯვებით — მარად დაუვიწყარი სტალინგრადის ეპოპეით.

სტალინგრადის გამარჯვება არის შედეგი არა მარტო ჩვენი მუშურ-გლეხური წითელი არმიის მოუდრეკელი სიმტკიცისა, რომელსაც ასაზრდოებს დიდი ზნეობრივი იდეალი,—დიდი გამანთავისუფლებელი მისია, არამედ მისი სამხედრო დავაჟკაცების და საომარი ოსტატობისა, რომელიც მან დიდი **სტალინის** შთაგონებით და ხელმძღვანელობით მოიპოვა. წითელი არმიის უმაღლესი მთავარსარდალი ამხანაგი **სტალინი** მუდამ ასწავლიდა ჩვენს რიგითს მებრძოლებს და მეთაურებს, დაუფლებოდნენ სამხედრო მეცნიერებას, ზედმიწევნით შეეთვისებინათ საომარი მოქმედების სტრატეგია და ტაქტიკა, მუდამ დღე სრულეყოთ თავიანთი ცოდნა, თავიანთი გამოცდილება. ამხანაგმა **სტალინმა** აღჭურვა ჩვენი არმიის მეთაურთა კადრები სრულიად ახალი, თანადროული სტრატეგიით. ამხანაგ **სტალინის** მიერ დამუშავებულმა სამხედრო მეცნიერებამ მოაპოვებინა წითელი არმიის სახელოვან სარდლობას ომების ისტორიაში არნახული გამარჯვებანი.

მუშურ-გლეხური წითელი არმია და წითელი ფლოტი სასახელოდ და სასიქადულოდ აღნიშნავენ თავის არსებობის 25 წლისთავს—წითელი არმიის სარდლობა წარმატებით ანხორციელებს განუწყვეტელი შეტევის და ჰიტლერული ურდოების სრული შემუსვრის სტალინურ გეგმას, წითელი არმია შეუჩერებლივ მიიწევს წინ დასავლეთისაკენ და სწმენდს—წმინდათა წმინდა საბჭოთა მიწა-წყალს ფაშისტური სიბილწისაგან.

ხარკოვის, კურსკის, როსტოვის, ეროვნულ ბილოვგრადის, კრასნოდარის და ძრავალი სხვა ადგილების განთავისუფლება, წითელი არმიის გმირული ბრძოლების ნათელი გამოხატულებაა.

დიდია საბჭოთა არმიის, საბჭოთა იარაღის გამარჯვება. მაგრამ **ლენინ-სტალინის** პარტიის მიერ აღზრდილს და გამოწრთობილს ჩვენს შშობლიურ წითელ არმიას, უკანასკნელ თვეებში მოპოებული იშვიათი წარმატება თავბრუს როდი ასხამს,—მისთვის უცხოა თვითდამშვიდება და მიღწეულით დაკმაყოფილება. ჩვენმა წითელმა არმიამ ისევე, როგორც მთელმა საბჭოთა ხალხმა, იცის, რომ მის წინ კიდევ ძნიშ და მძაფრი ბრძოლების გზაა, რომ სასიკვდილოდ დაჭრილი მტერი კვლავ შეეცდება გაიმეოროს ახალი ავანტიურა, კვლავ მოგვაყენოს მძიმე ჭრილობა, მაგრამ დიადი სამამულო ომის ცეცხლში გამოწრთობილი ჩვენი არმია და ჩვენი ფლოტი, რომელთაც წინ უძღვის გენიალური მხედართმთავარი, ხალხთა დიდი ბელადი ამხანაგი **სტალინი** ვაჟკაცურად გაუძღვება ყველა მოსალოდნელ განსაცდელს და საბჭოთა ხალხის სამამულო ომს დაგვიბოლოვებს გერმანული ფაშისტური ურდოების სრული განადგურებით.

ჩვენს წითელ არმიას, ჩვენს წითელ სამხედრო-საზღვაო ფლოტს დიდება.

გაუმარჯოს წითელ არმიას, რომელიც გმირულად იბრძვის ჩვენი სამშობლოს ღირსებისა, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ!

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს, მის გმირ წითელ არმიას და სამხედრო საზღვაო ფლოტს, რომლებმაც მტკიცე საფუძვლები შექმნეს გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე გამარჯვებისათვის.

გაუმარჯოს ძლევამოსილი მუშურ-გლეხური არმიის და ფლოტის ორგანიზატორს და წინამძღოლს საბჭოთა სამხედრო მეცნიერების შემქმნელს—გენიალურ მხედართმთავარს ამხანაგ **სტალინს.**

გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას) **ლენინ-სტალინის** პარტიას—გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე გამარჯვებისათვის ბრძოლის ორგანიზატორს!

ლენინის დროშით, **სტალინის** წინამძღოლობით — წინ გერმანელი ოკუპანტების გასანადგურებლად და ჩვენი სამშობლოს საზღვრებიდან მათ განსადევნად.

წითელარმიელი

ხარიტონ ვარდოშვილი

როს გადმოლახა ცეცხლმა საზღვარი
და ულმობელი გაჩაღდა ბრძოლა,
როს საბჭოეთი უზარმაზარი
აღსდგა ძუნანათ მტრის ჩასაოლად,

როს მოწოდების საყვირთა ყღერა
გაისმა ირგვლივ მთასა და ველად,
მან მიატოვა აღმზრდელი კერა
გაიჭრა მშობელ ქვეყნის საშველად.

მას შემდეგ იგი, დღითა და ღამით,
იბრძვის, მტერს მუსრავს, ქცეული დევად,
მისი სიცოცხლის ყოველი წამი
არის ულმობელ სიკვდილის ძლევა.

მას შემდეგ—რისხვის მფრქვეველ მის თვალებს
უცქერის მტრულად ღამე უკუნი,
და როცა ირგვლივ ცეცხლი გრიალებს,
ისმის მძვინვარე ბრძოლის გუგუნი, —

აზვირთებული დიადი ზრახვით
მასში იელვებს ალი გმირული,
იშიშვლებს მყისვე გაბასრულ მახვილს
მტერს ეკვეთება თავგანწირული.

რამდენი სისხლი შეერთო მიწას,
გულში რამდენი ჩაიქცა სევდა!
იგი კვლავ იბრძვის და მკერდით იცავს
თავის სამშობლოს, საყვარელ დედას.

რამდენი თვალი სუსხმა დათრთვილა,
და დაიქუხა ზეცამ მის თავზე.
მაგრამ ქუხილში შობილი დილა
მას გამარჯვების იმედით ავსებს.

ცეცხლი განლვო და ფოლადად იქცა
აწ რას დაკლებს სიკვდილი შავი.
ბევრი შეასკდა მის მკერდის ფიცარს
მძაფრი გრიგალი დაუგეშავი.

როდესაც ოდნავ ჩასთვლემს გვემული,
მოაგონდება ძვირფასი კერა,
მოხუცი დედა დაღონებული,
და მოკისკასე ბავშვთა სიმღერა.

მოაგონდება მამა ჭაღარა,
ვინაც წასვლის ჟამს მიმართა: „შვილო,
გმირთა ანდერძი გახსოვდეს მარად,
მოხუცი, მამა არ შეარცხვინო!“

მოაგონდება ოჯახი თბილი,
ყრმობის აკვანი, აღმზრდელი მიწა,
დღეს რომ ვერაგ მტრის სამარედ იქცა—
და თვალს გაახელს გულჩათხრობილი.

გახედავს სივრცეს შეღებილს სისხლით,
აუთრთოლდება გული ვნებული.
კვლავ აენთება უძლეველ რისხვით
და მტერს დალახვრავს გააფთრებული.

მაგ დაკვრაში გენაცვალე

იონა ვაკელი

კვლავ დაჰკარი! არ შეჩერდეს
გამარჯვების მძაფრი ქარი;
თავის შვილებს მხარში უდგას
ჩვენი მიწა, ჩვენი წყალი,
დარბეული ქოხმახები,
დნეპრის მიწა, ვოლგის მხარე,
სადაც იყო, ჩვენო მკვიდრო,
აღსდექი და გაიხარე!

გაიხარე! რადგან აღსდგა
მკერდდაჭრილი შენი გმირი,
არ დაეცა, თვით კი დასცა
ყველა მძიმე გასაჭირი
და შურისთვის აღგზნებული
კვლავ აკვესებს ვეფხის თვალებს...
ახლაც მესმის, ახლაც ვხედავ
იქ დანთებულ ცეცხლის ალებს.

ვხედავ მას, და ჩვენს დიდ სარდალს —
ბრძენს ყოველგან, შინ თუ გარეთ,
ჩვენი გული, ჩვენი სწრაფვა
ჩვენ მას მიტომ გავატანეთ,
რომ ბრძოლების ცეცხლის ალში
გმირს გმირული გული ენთოს,
ანადგუროს მტერი მტერზე,
გამარჯვება გამოჭკვეთოს.

მაშ, დაჰკარი შენი ხმალი
ულმობელი, მაგრამ გრძნული,
ელვარებდეს დაუცხრომლად,
როგორც ელავს შენი გული,
როგორც ელავს შენი საქმე
და ციალით რომ სჭრის თვალებს...
რამდენს დაჰკრავ, იმდენს გეტყვით:
მაგ დაკვრაში გენაცვალე.

საბჭოთა საქართველოს XXII წლისთავი

საბჭოთა საქართველოს თავისი არსებობის ოცდაორი წლის თარიღის აღნიშვნა უხდება სამამულო ომის პირობებში. ამ განსაკუთრებულ ვითარებაში ქართველი ხალხი მთელი საბჭოთა კავშირის ხალხებთან ერთად თავგამოდებით, გმირულად იცავს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ისტორიულ მონაპოვარს, ებრძვის ჰიტლერელ ბარბაროსებს, რათა ისინი განდევნილი იქნან ჩვენი სამშობლოს დროებით ოკუპირებული ადგილებიდან.

ათასცხრაასოცდაერთი წლის 25 თებერვალს საქართველოს მშრომელმა ხალხმა **ლენინ-სტალინის** პარტიის ხელმძღვანელობით, დიადი რუსი ხალხის ძმური დახმარებით დაამხო კონტრრევოლუციური მენშევიზმის ბატონობა და თავისუფლების წითელი დროშა ააფრიალა. ამ დღიდან სოციალისტური რევოლუციის მზემ უხვად მოჰფინა თავისი სხივები საქართველოს. ამ თარიღიდან დაიწყო ახალი ისტორია საქართველოსი—თავისუფალი, მანამდე არნახული ცხოვრების ისტორია. უჩვეულო აღორძინებისა და წინსვლის გზაზე შედგა ჩვენი ქვეყანა, რომელიც მანამდე, რევოლუციამდე წარმოადგენდა უუფლებო, ჩამორჩენილ მხარეს.

ამ ოცდაორი წლის მანძილზე **ლენინ-სტალინის** პარტიის ხელმძღვანელობით საქართველომ მოიპოვა ბრწყინვალე გამარჯვებანი ცხოვრების ყველა სფეროში. ცარიზმისა და მენშევიზმის ბატონობის დროს ჩამორჩენილი და დაჩაგრული კუთხე, საბჭოთა ხელისუფლების დროს გადაიქცა მოწინავე, აყვავებულ ქვეყანად. საქართველო დღეს უხვი და ბედნიერი ქვეყანაა, სიცოცხლე მთელი ძალით სჩქეფს მის ფართოდ გადაჭიმულ სოციალისტურ მინდვრებზე, ციტრუსოვან ბაღნარებში, სოციალისტურ ფაბრიკა-ქარხნებში, ქალაქებსა და სოფლებში. ეს ბედნიერი ცხოვრება მოგვცა ჩვენ დიდმა **სტალინმა.** ამ წარმატებებს საქართველომ **ლენინ-სტალინის** დიადი დროშით მიაღწია. განსაკუთრებით დიდი აღმშენებლობითი, შემოქმედებითი მუშაობა გაიშალა საქართველოში დიდი **სტალინის** საუკეთესო მოწაფისა და თანამებრძოლის ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** ხელმძღვანელობით.

ქართველმა ხალხმა საბჭოთა კავშირის ხალხების დიადი ოჯახის თანასწორმა წევრმა, სოციალიზმის ეპოქაში იპოვა თავისი მდიდარი შემოქმედებითი ძალების გაფურჩქვნისა და აყვავების სრული შესაძლებლობა. გაიზარდნენ და დავაჟკაცდნენ სახალხო გმირები, კულტურისა და ხელოვნების ოსტატები, სოციალისტური წარმოების და შინდვრის სტახანოველები, სამშობლოს უსაზღვროდ მოყვარულნი და დამცველი შვილები.

ჩვენს ქვეყანას ლაღად ანათებს სტალინური კონსტიტუციის დიადი მზე.

გერმანელ-ფაშისტ არამზადების განზრახვა წარმოადგენდა წაერთმიათ ჩვენთვის ეს ბედნიერება. საბჭოთა კავშირზე თავდასხმისას ფაშისტი არამზადები ფიქრობდნენ, რომ ძოახერხებდნენ საბჭოთა ხალხის მტკიცე, ურყევი მეგობრული ოჯახის დარღვევას. მაგრამ მტერი სასტიკად მოსტყუვდა, შესცდა. სამამულო ომმა კიდევ უფრო მეტად განამტკიცა სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა, გადააქცია იგი ერთიან ურღვევ ბანაკად. მთელი საბჭოთა ხალხი თავგადადებით იცავს ბედნიერებისა და თავისუფლების ქვეყანას. საბჭოთა კავშირის ყველა ეროვნების მებრძოლები ხელიხელ ჩაკიდებულნი დაუზოგველად ანადგურებენ ფაშისტურ უწყინდურებას. საბჭოთა ხალხმა კარგად იცის, რომ ფაშისტი არამზადები ფეხქვეშ სთელავენ ყველა ხალხის ცხოვრებასა და თავისუფლებას. ამიტომ არის, რომ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი ასე თავდადებით იბრძვის გერმანელი ბარბაროსების წინააღმდეგ. სწორედ ამ ბრძოლაში მეღავნდება განსაცვიფრებელი ძალა მთელი საბჭოთა ხალხისა, რომელიც ასე გმირულად და სახელოვანად იცავს თავის წმინდათა-წმინდა სამშობლოს—სსრ კავშირს.

ქართველმა ხალხმა თავისი საუკეთესო, ვაჟკაცი შვილები გაგზავნა ფრონტზე, რათა მათ დაიცვან ჩვენი ქვეყანა, რათა მათ დაუზოგველად ყლიტონ და ანადგურონ ჩვენი სამშობლოს დაუძინებელი მტრები. ქართველი ხალხის შვილებმა თავიანთი სისხლით დაიცვეს თავისუფლებისა და ბედნიერების ქვეყანა. ჩვენი ხალხის ასეთი სახელოვანი შვილებია: საბჭოთა კავშირის გმირები—კაპიტანი გეგეშიძე, პოლიტხელი ლურსმანაშვილი, უფროსი ლეიტენანტი პირმისაშვილი, ზემდეგი ადამია, პოლიტხელი გახოკიძე, პოლიტხელი კანკავა, წითელარმიელი გოგიშვილი, პოდპოლკოვნიკი დიასამიძე, მაიორი კეთილაძე, გენერალ-მაიორი ნანეიშვილი. ქართველი ხალხის სასახელო შვილთა ოჯახს ამშვენებენ გენერალ-ლეიტენანტი ლესელიძე, გენერალ-მაიორები: ჩანჩიბაძე, თავართქილაძე, მეაკანაძე და მრავალი სხვა.

ქართველი ხალხი ასევე თავდადებით და სახელოვანად იბრძვის ზურგში, იგი თავდაუზოგველად შრომობს ფრონტისათვის, აწვდის ფრონტს ყველაფერს, რაც კი საჭიროა მტერზე გამარჯვებისათვის.

ქართველი ხალხი მთელი საბჭოთა კავშირის ხალხებთან ერთად მტკიცედ და ურყევად შეჰყურებს თავის მომავალს. საბჭოთა ხალხის სამართლიანი საქმე გაიმარჯვებს, პირსისხლიანი ფაშისტი ბარბაროსები განდევნილი იქნებან ჩვენი სამშობლოს საზღვრებიდან.

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხს და მის გმირ მებრძოლებს.

წინ, გერმანელ ოკუპანტთა სრული განადგურებისათვის.

დაჭრილის მოწოდება — ნახატი უჩა ჯაფარიძისა.

საზეიმო საღამო მწერალთა კავშირში

25 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის კლუბში შესდგება მუშურ-გლეხური წითელი არმიის და წითელი ფლოტის არსებობის 25 წლისთავისა და საბჭოთა საქართველოს 22 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო.

დასცხეთ, დაჰკარით!

სანდრო ეული

ვინც შემოიჭრა ჩვენში ეაჩაღად,
ომის ხანძარი ვინც გააჩალა,
გახვია ალში ჩვენი მთაბარი,
დასცხეთ, დაჰკარით!
დასცხეთ, დაჰკარით!
მტერი იარალს თუ კი არ დაჰკრის,
იგი ვერაგი ჩვენს წინ ქედს არ ხრის,
ჩაარტყით მკერდში ხიშტი მაგარი,
დასცხეთ, დაჰკარით!
დასცხეთ, დაჰკარით!
ვინც ჩვენს მიწა-წყალს დაადგა ფეხი,
ვისაც ატყდება დღეს რისხვის მეხით,
შეუპოვარი ჩვენი ლაშქარი...

დასცხეთ, დაჰკარით!
დასცხეთ, დაჰკარით!
მტერი გვყოლია, მაგრამ ასეთი
არა ყოფილა ბილწი არც ერთი,
მაშ, მოვსპოთ მათი ფესვი და გვარი,
დასცხეთ, დაჰკარით!
დასცხეთ, დაჰკარით!
დასავლეთისკენ ბრძოლის გზა გვიდევს,
იერიშებით წინ კიდევ, კიდევ,
მტერი დაეცეს წელში გამტყდარი!
დასცხეთ, დაჰკარით!
დასცხეთ, დაჰკარით!

თერგის გადალმა

ვასო გორგაძე

თერგის გადალმა, სადაც გაშლილი
ყანა ღელავდა დაისის ალში,
შევხვდით ერთმანეთს მამა და შვილი
ზარბაზნების და თოფის გრიალში.
შევხვდით... ოდესლაც ასე ხვდებოდნენ
მტერთან პირისპირ ომში გასული
და მამულისთვის ერთად კვდებოდნენ:
ყრმა და მოხუცი, დედა და წული.
აი აქა ვარ! ცეცხლი ანთია,
დუღს დედამიწა, გაავს ზანზარი.
მთების იქედან ჩემი ქართლია,
ჩემი არაგვი და ალაზანი.
როგორ მოხდება საყვარელ მიწის
მტერს დავანებო თუგინდ მტკაველი,
უუწმინდესი გავტეხო ფიცი,
დავთმო სამშობლო და რუსთაველი!
განა მე დედამ მისთვის გამზარდა,
ალერსით მისთვის მიმღერდა ნანას,
რომ კაცმჭამელს, მხეცს, არამზადას
გავაქელვინო ჩემი ქვეყანა?

მაშ დადექ შვილო, ზღუდეზე მედგრად!
ერთგულად! მტკიცედ, როგორც კლდე-სალი,
მოძმე ხალხების მახვილთან ერთად
დეე, აქ შენიც ბრწყინავდეს ხმალი.
ვიცი, სტალინურ მედგარ თაობას
ვერ შეაჩერებს გზა დახლართული;
გქონდეს ვაჟკაცის გამბედაობა
და შემართება ჩვენი ქართული.
ბრძოლაში გასულს, მუდამ გახსოვდეს
მშობლის ანდერძი: მტარვალებს ზიზღი!
არ შეარჩინო მტერს არასოდეს:
დედის ცრემლი და ბავშვების სისხლი.
გზა მშვიდობისა! ამიერიდან
გიხმობს სამშობლოს მთრთოლვარე გული.
მალე გვენახო ბრძოლის ველიდან
შინ გამარჯვებით დაბრუნებული.
თერგის გადალმა, სადაც გაშლილი
ყანა ღელავდა დაისის ალში,
შევხვდით ერთმანეთს მამა და შვილი
ზარბაზნების და თოფის გრიალში.

გენერალ-მაიორი პ. ჩანჩიბაძე და მისი მეომრები

ირაკლი ანდრონიკაშვილი

მრავალჯერ მსმენია გენერალ პორფირი ჩანჩიბაძის გმირობაზე, რომელიც მან ჯერ კიდევ შარშან ზამთარში გამოიჩინა. მაშინ ის გერმანელთა ღრმა ზურგში მოქმედებდა და იმ დროს მისი ნახვა თითქმის შეუძლებელი იყო. მაგრამ როგორც კი გავიგე, რომ მტრის ზურგიდან გამოვიდაო და კალინინის ფრონტზე თავდაცვის ხაზი დაიკავაო, მაშინვე გავემგზავრე მასთან.

მოუთმენლად ველოდი იმ წუთს, როცა ამ გმირ გენერალს ვნახავდი და გავეცნობოდი.

პირველად მე მისი ზურგი დავინახე. ტყით შემორტყმულ პატარა მინდორზე თავი მოეყარათ ახლად ამოსულ მეომრებს — ბომბალში ტანკების გამანადგურებელთ. ამათ წინაშე იდგა გენერალი და რაღაცას უხსნიდა მათ. ის იყო საშუალო ტანისა, ჩასკვნილი, მრგვალმხრებიანი; ფეხები ფართოდ გაეშალა, ხოლო გადაპარსულ თავზე უბრალო წითელარმიული „ბლოტკა“ ეხურა.

მან მოიხედა, როცა ჩემი ნაბიჯების ხმა მოესმა. მე დავინახე დაახლოებით ორმოცი წლის ქართველი: შავგვრემანი, ოდნავ მოკაუჭებული ცხვირით, შავი წარბებით. მის სახეს საქმიანი გამომეტყველება ჰქონდა. თუ დავიჯერებთ, რომ სახის ნაკვთები ადამიანის ხასიათს ამჟღავნებენ, იმ შემთხვევაში ჩანჩიბაძის ხასიათი მის სახეზედ არის დაწერილი. შეხედავთ თუ არა, მის ნიკაპსა და ტუჩებს, უმალვე იტყვით, რომ ეს კაცი ფიცხია, მაგრამ უდრეკი, ჯიუტია, განმსჯელი და წინდახედული; ვერავითარ ეშმაკობას ვერ გამოპარავს, უმალვე გამოიცნობს. მისი თვალები ამჟღავნებდნენ, რომ გონიერი და მხიარული კაცი იყო.

გამოვეცხადე. ჩემი ვინაობა მოვახსენე.

ჩანჩიბაძემ მთხოვა დამეცადა. ის იყო მოგვიანებით მან საუბარი ერთ არმიელთან და მერე შემდეგს მიმართა:

— რა გვარი ხარ? — ჰკითხა საგრძნობი ქართული აქცენტით.

— კოტლოვი! — უპასუხა მეომარმა.

— როგორ? — ჩაჰკითხა ჩანჩიბაძემ.

— გვარდიის წითელარმიელი კოტლოვი! — გამოსწორა მან პასუხი.

— ყოჩაღ, კოტლოვ! — სთქვა ჩანჩიბაძემ. —მაგრამ რატომ ასე ხმადაბლა ლაპარაკობ? ბრძოლის დროს შეხს სიტყვას ვერავინ გაიგონებს. გარკვევით და გასაგონათ უნდა წარმოსთქვა: კოტ-ლოვ! გაიგე? სადაური ხარ?

— ბორკის ოლქიდან.

— ბოლგის ნაპირებზე დაიბადე? მაშ ცურავ გეცოდინება? წყლის ზღუდეს ხომ გადალახავ?

— ეცურავა... კარგად ვიცი ცურვა.

— მოლოდეც! ყოჩაღ ბიჭო! უცბადვე შეგატყვე, რომ დიდი ყოჩაღი ხარ... ჩვენს ნაწილში საიდან მოხვდი? გოსპიტალიდან? სადა გაქვს ჭრილობა?

— პირველად მარცხენა ხელში დამჭრეს. მეორედ კი...

— აბა, მაჩვენე შენი ხელი!

ჩანჩიბაძემ გაუსინჯა ხელი. ყურადღებით უცქირა ნატყვიარს.

— ასე არ გტკივა? — თითები დაჭირა.

— არა.

— ეხლა ასე მოხარე — უჩვენა ჩანჩიბაძემ.—არც აგრე გტკივა? მაშ დაუშვი ხელი. ჭრილობის შემდეგ კიდევ უფრო უკეთესი ვაჟკაცი შექმნილხარ: ხელი საღია, გული მრთელი, მტერი უკვე განხავს და კიდეც გიყლეტია ის. ყოჩაღ! მეორე ჭრილობა სადა გაქვს?

მეომარი გაწითლდა, გაეღიმა და წუთიერი მდუმარების შემდეგ უპასუხა:

— უკანალში დამჭრეს... ჩემს იქით ყუმბარა გასკდა და...

— მერე და, შე კაი კაცო, რისი გრცხვენია!—სერიოზული ტონით უთხრა ჩანჩიბაძემ. —აქ სასირცხო არაფერია. შეგიძლია თამამად უთხრა ყველას: გერმანელ ფაშისტების წინააღმდეგ სამამულო ომში ორი ჭრილობა მივიღე: ერთი ხელში, მეორე უკანალში. აქ არაფერია სასირცხვო. შენ ეს მითხარი, ტანკები განხავს?

— მინახავს, ოღონდ შემთხვევა არ მქონდა მისთვის მესროლა.

— არა უშავს რა, ამიერიდან ესვრი. ახლა შენ გაქვს ტანკების საწინააღმდეგო თოფი — პირველხარისხოვანი ტექნიკა! ტანკი ვეღარსად გაგექცევა. უკვე შეისწავლე თოფი?

— ფრიადზე!

— ყოჩაღ, ყოჩაღ ბიჭო! — ჩანჩიბაძემ მხრებზე დაადვა ხელები — მაშ არ გაუშვებ გერმანელთა ტანკს?

— ვფიქრობ, რომ არ გავუშვებ.

— ეე!.. აი ეგ კი ცუდი რამ სთქვი. რა პასუხია ეგ: ვფიქრობ? ადამიანმა შეიძლება მთელი თავისი სიცოცხლე ფიქრში გაატაროს, მაგრამ ამავე დროს არავითარი გადაწყვეტილება არ მიიღოს.

— არასგზით არ გავუშვებ, ამხანაგო გვარდიის გენერალ-მაიორო!

— აი ეგ კი სხვა ამბავია! აი ეგ კი სწორი, ნამდვილი პასუხია! მაშ შენ ახლავე მეტყვი: ცეცხლს როდის შეაგებებ ტანკს? წარმოიდგინე ასე, რომ აი იქიდან, ერთი კილომეტრის მანძილიდან, გერმანელთა ტანკები გამოჩნდნენ. რას იზამ ამ შემთხვევაში? აი ეგერ, ეგერ მოდიან!

— მოვუშვებ ოთხას მეტრზე და ცეცხლს გავაჩაღებ! — წწრაფად უპასუხა კოტლოვმა.

— სწორია. ყოჩაღ! დასცხე! მაგრამ, წარმოვიდგინოთ, რომ უცბად ვერ მოახვედრე... მოდის ტანკი... დარჩა მხოლოდ ორასი მეტრი...

— ვესვრი ორას მეტრზე.

— დასცხე, ესროლე! ეხლაც არ მოხვდა! დარჩა ასი, ოცდახუთი, ხუთმეტი, ათი მეტრი! რაღას შვები ახლა?

— უნდა ვესროლო.

— ვეღარ, კოტლოვ! გვიანაა ახლა სროლა! როცა ხუთმეტი—ათი მეტრი დარჩება, უნდა გაიხსენო, რომ შენ გაქვს ცეცხლგამჩენი ბოთლი. აიღე ხელში, მარჯვედ მოიქნიე, — ჩანჩიბაძემ უჩვენა თუ როგორ უნდა მოქნევა, — და გადაისროლე ისე, რომ პირდაპირ ტანკს მოხვდეს: „აჰა, მიიღე შეპირძალლო“! რა დაემართება ტანკს?

— ბოთლი მოხვდება თუ არა ტანკს, ცეცხლი მოედება.

— სწორია, კოტლოვ. ცეცხლი მოედება! ეს იმიტომ, რომ ვერცერთი გერმანული ტანკი, — მსუბუქი, საშუალო და ვერც მძიმე — ვერ უძლებენ ცეცხლის გამჩენ ნივთიერებით სავსე ჩვენს ბოთლებს! ახლა ეს მითხარი, როცა ტანკს ცეცხლი მოედება, მისი ეკიპაჟი რას იზამს?

— რას იზამს და, გამოვარდება ტანკიდან და გაიქცევა.

— სწორია! შენ კი რას იზამ ამ დროს?

— გაქცეულთ სროლას დავუწყებ.

— არა, კოტლოვ! ეს შენ კი არ უნდა ესროლო გაქცეულთ, მათ უნდა ესროლოს შენმა მეორე ნომერმა... ტანკიდან გამომძვრალი გერმანელები უკვე მირბიან, მათ წინააღმდეგ ბრძოლა რაღა საჭიროა, ისინი უნდა გაანადგუროს ავტომატის ჩვეულებრივმა ტყვიებმა. ამ მოწინააღმდეგეს უკვე აღარავითარი ფასი არა აქვს, ხოლო ტანკსაწინააღმდეგო თოფის ყუმბარა ძვირი ღირს, ცოდვაა ამ ძვირფასი მასალის დახარჯვა მუნიან ჰიტლერელზე, რომელიც გარბის შენგან. და კიდევ: დრო, წუთი არ უნდა დაიხარჯოს და ვაცდეს ტყუილად! განაგრძე სროლა დანარჩენ ტანკების წინააღმდეგ! აიღე ნიშანი, გულმშვიდათ მომართე თოფი... ესროლე! და აი მაშინ შესძლებ მტრის ტანკების მოსპობას და სატანკო იერიშის ოტებას, უკუქცევას. გაიგე ახლა?

— ყველაფერი გავიგე.

— ყოჩაღი ხარ!.. მაგრამ, ვთქვათ, ვერ მოახვედრე ტანკს? ვერ მოახვედრე და შენზე მოდის ტანკი? რას შვები მაშინ, კოტლოვ? ა? მითხარი!

— აი იქვე ხვრელი იქნება და შიგ ჩავჯდები.

— აბა მაჩვენე, როგორ ჩაჯდები.

კოტლოვი ჩაცუცქდა.

— შენ კი ჩაცუცქდი, მაგრამ თოფს რა უყავ? სადა გაქვს თოფი? მიწაზე დასტოვე? აი მაგისათვის კი დაიშინე თავში. მუჭები! ტანკი მიწაზე დაგდებულ თოფს გაგისრესავს! გამიგონე, კოტლოვ, და კარგად დაიხსომე: ჯერ აიღე შენთვის მინდობილი თოფი, ჩადევი ის ხვრელში, შემდეგ თითონ ჩაძვერი შიგ და ჩაჯექ. ტანკს თავისქვეშ სროლა არ შეუძლია. ხოლო როცა გაივლის ტანკი, ამოძვერი ხვრელიდან და ტანკს უკანიდან დაუშინე. აი აქ შესძლებ მის შეჩერებას და აუცილებლად მოსპობ კიდეც. და რატომ აუცილებლად, იცი?

უკანა ნაწილი სუსტი აქვს...

— სწორია კოტლოვ, სწორია! უკანა ნაწილი სუსტი აქვს... კიდევ სად უნდა უმიზნო ტანკს? კიდევ რა სუსტი ნაწილები აქვს მას?

— გვერდები, კიდურები აქვს სუსტი. გარდა ამისა კოშკი და საკვერეტი ხვრელი.

— ვხედავ, მართლაც ფრიადზე გცოდნია. და არც შეშინდები! მთავარია — ტანკის არ უნდა გეშინოდეს. იმ შემთხვევაშიც, როცა ერთმა ტანკმა გადალახა ცეცხლის ხაზი და ვერ შესძელ მისი განადგურება, — დარჩი ადგილზე საფარში, ებრძოლე სხვა ტანკებს და ანადგურე. ის ტანკი, რომელიც გაგექცა, დიდხანს ვერ ინავარდებს. ტანკი ძროხა კი არაა. ძროხა სჭამს ბალახს, ტანკს კი ბენზინი სჭირდება. საწვავი მასალა თუ არ ექნა, ვერ იმოძრავებს. იხეტიალებს ის შავ ღამეზე გაჩენილი და გაჩერდება. შენ კი, კოტლოვ, გეგალება, ადგილზე იდგე. არც ერთი ნაბიჯი უკან! შენ უფრო ძლიერი ხარ ტანკზე! შენ ხელში გაქვს ტანკსაწინააღმდეგო თოფი — პირველხარისხოვანი ტექნიკა! ტანკი მიდის მინდორზე, შენ უცქერ მას და ყოველთვის შეგიძლია ესროლო. ესროლე ლ — თითქო მახათით გაგიხვეტიაო ხოკო! შენ საფარში ხარ, ტანკიდან ვერ გხედავენ და მხოლოდ ალალბედათ ისვრიან ზარბაზანს. ხოლო თუ ამოდი საფარიდან და გაიქეცი, ტანკიდან გამოსროლილი ტყვია გაგგმირავს, გადაგვლის ტანკი და გაგსრესავს. მაშასადამე, — შეჩერდი! შეჩერდი და ანადგურე! გახსოვდეს ეს და თუ დაინახე, რომ ვინმე შეშინდა, განუმარტე მას, თუ რა ძვირფასი საუნჯეა ეს თოფი კარგ, გამოცდილ ხელში... სახლიდან წერილები მოგდის?

— მომდის, — სთქვა კოტლოვმა, რომელსაც გაუკვირდა ეს უეცარი მოულოდნელი შეკითხვა.

— როგორ ცხოვრობენ? რას წერენ?

— არაფერს ისეთს... კარგად არიან.

— შენ კი უგზავნი მათ პასუხს? თუ მხოლოდ სახლიდან მოღებულ წერილების კითხვა გიყვარს?

— ვწერ, რა თქმა უნდა... ცოლს, მამას, დედას...

— მაშ მისწერე მათ, რომ ყოჩაღი ხარ. ყველაფერში ყოჩაღი იქნები, თუ კარგად დაიმახსოვრებ მას, რაც ახლა გითხარი.

— ყველაფერი გასაგებია, ამხანაგო გვარდიის გენერალ-მაიორო!

— აბა, ბიჭებო, — სთქვა ჩანჩიბაძემ, — ბრძოლის შემდეგ გავიგებ, თუ რომელმა უკეთესად ისროლეთ.

ჩანჩიბაძემ ერთხელ კიდევ სიყვარულით გადახედა კოტლოვს.

— უჰ, კოტლოვ! რომ შეგეძლოს უცქირო შენს თავს, მაშინ მუდამ მამაცი და გულადი იქნებოდი! რა სახე გაქვს, რა კუნთები!

ჩანჩიბაძემ ღონივრად ჩაჰკიდა ხელი კოტლოვის მკლავს, ალერსიანად მისწია, ჩააყენა მწყობრში და მერე შემდეგ მეომართან მივიდა.

— რომელ წელში ხარ დაბადებული?

— ქალაქ უმანში, — უცბად უპასუხა მეომარმა.

— კარგად გამიგონე რას გეკითხები. რომელ ქალაქში კი არა, რომელ წელში ხარ დაბადებული? შენ კი მიპასუხებ: ქალაქ უმანშიო... კმარა, გეყოფათ სიცილი! — გადახედა ჩანჩიბაძემ მეომრებს, რომელნიც სიცილს ვერ იკავებდნენ მათი ამხანაგის პასუხის გამო. — ომის შემდეგ ვიცინოთ! მან, შესაძლოა, თქვენზე უკეთ ესროლოს მტერს და მაშინ თქვენ დაგცინებთ. ალბად მან გაიგონა როცა კოტლოვს ეკითხე „სად დაბადე“ მეთქი... გაიგონა და ასე იფიქრა: „ჩემთანაც მოვა და მკითხავს თუ სად დავიბადე და როგორ ვუპასუხოვო“. რატომ გეშინია ჩემი? შენ არ უნდა გეშინოდეს ჩემი! გეშინოდეს ჩემი მხოლოდ იმ შემთხვევაში, და ძალიანაც გეშინოდეს, თუ ბრძოლა არ გინდა, მაშინ სოკვდილზე უფრო ჩემი შიში გქონდეს! მაგრამ თუ კი შენ ბრძოლა გინდა, თუ მტრის მოსპობა გინდა, არ გაბედო ჩემი შიში, პირდაპირ და თამამად მიყურე სახეში. მაშინ მე შენი ამხანაგი და მეგობარი ვარ. ჩვენ ერთად ვიბრძვით და ვიმობთ — მე და შენ! გაიგე? რომელ წელში ხარ დაბადებული? თექვსმეტში? აი ახლა კი შეგიძლია სთქვა: ქალაქ უმანში. ყურები ჯანმრთელი გაქვს? კარგი სმენა გაქვს? ჯანმრთელი გაქვს... კეთილი... სადილი ხომ ჭამე? არ გისადილნიათ? არც ერთს? მაშ, ბიჭებო, წადით და ისადილეთ. მოშივებულებთან მე ლაპარაკი არ მინდა. რახან სადილის დრო დადგა — სადილი უნდა სჭამოთ. როცა დრო დადგება მტერთან ბრძოლისა, — შევებრძოლებით და გავრეკავთ კიდეც. არავითარი ზღუდე არ შეგვაშინებს, როცა წინ წავალთ! ახლა კი წადით, ისადილეთ, ძალა მოიკრიბეთ!

რამდენიმე დღის წინათ მთელმა ქვეყანამ წაიკითხა, რომ გენერალ ჩანჩიბაძის მეომრები პირველთაგანნი შეიჭრნენ ქალაქ ნოვოჩერკასკში. მომაგონდა პირველი დღე მისი ნახვისა და გაცნობისა, მომაგონდა თუ რას ასწავლიდა თაეის მეომრებს და მიეხვდი, რომ ბრძოლის დროს მათ ამხნევებდათ მისი დარიგება, მისი ხმა, მისი სიყვარული, რომ ყოველ გადამწყვეტ წუთში ისინი ფიქრით პირდაპირ სახეში უცქერდნენ თავის გმირ სარდალს.

სარედაქციო კოლეგია:
ირაკლი აბაშიძე, შალვა დადიანი, სანდრო ეული, გიორგი ლეონიძე, გიორგი ნატროშვილი, შალვა რადიანი, ვანო ფულუკიძე.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სასახლე), ტელეფონი 3—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

УЭ 0062